The views expressed in this essay are those of the author and do not necessarily reflect the views of the United Nations Economic Commission for Europe, the Georgian Government or any Georgian authorities.

დაბერება საქართველოში

ინა კორძახია, ქ. თბილისი

ახლა თბილისში აპრილია, სულ ცოტა ხნის წინ იყო ზამთარი - ცივი და სუსხიანი. გაზაფხულზე ახალი სიცოცხლე იწყება, ბუნება იღვიძებს, ხეებს კვირტები ასკდება და ყვავილებს ფიფქი სცვივა.

ლამაზია ამ დროს ჩემი თბილისი...

მიხარია რომ ეს ჩემი ქალაქია, ეს ჩემი სამშობლოა-საქართველო. ჩემი ბავშვობა, ახალგაზრდობა და ახლა უკვე სიბერეც ამ ქალაქს უკავშირდება. კარგი ბავშვობა მქონდა. სხვადასხვა წრეებზე დავდიოდი: კა1ათბურთზე, გერმანულზე, ჭადრაკზე. ჭადრაკში თბილისის საქართველოს პირველობაში ვეთამაშე მსოფლიო ჩემპიონს ტალს[1]. გერმანულად ვკითხულობდი ლექსებს, ვმღეროდი, საბავშვო ნაწარმოებებს ვსწავლობდი..... ეჰ, სად გაფრინდა ის ენერგია, წლები... ინსტიტუტში გუნდში ვმღეროდი. უცხო ენათა ინსტიტუტი დავამთავრე. ადრე სხვა რაიონში ვცხოვრობდი, ეხალ ვცხოვრობ ერთ ლამაზ გარეუბანში -ვარკეთილში. ის ამაღლებულ ადგილას მდებარეობს, საიდანაც ლამაზი ხედი იშლება, მოსჩანს მთაწმინდა, სავანე ჩვენი ღირსეული წინაპრებისა. “რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი...“ ამეკვიატება ხოლმე ეს აზრი და ვამაყობ, რომ ეს განძი ჩემიცაა.

არ ვიცი რატომ, მაგრამ ბავშვობის მერე რაღაც სულ ნაცრისფერი დღეებით ვიცხოვრე, დავიღალე. მაგრამ აღმოჩნდა ნათელი მხარეც, და ეს ნათელი ჩემთვის წითელი ჯვრის საზოგადოება და ჩვენი ხელმძღვანელი თეა ხორავაა, რომელმაც მისვლის პირველივე დღიდან გაათბო ბევრი ჩემნაირის გული, გაგვიხალისა სიცოცხლე. შემოგვატარა ლამის მთელი საქართველო. ღმერთი მაღალია და გადაუხდის ამ სიკეთეს. ხშირად გვსტუმრობენ უცხოელები და არ იცით რა ბედნიერი ვარ, თუ მათში ვინმე ჭადრაკს თამაშობს ან გერმანული იცის, თეა იმ წამსვე ცდილობს ჩემს წარმოჩინებას და მეც ბოლომდე ვიხარჯები, მოსწონს ჩემი წაკითხული ლექსები, მე მას „ლამაზების პრეზიდენტს“ (ერთ-ერთი ლექსიდან) ვეძახი, ჩვენ ვგრძნობთ მის სითბოს და სიყვარულს და ჩვენც ბუმერანგივით ვუბრუნებთ. ამდენი წლის მერე ვფიქრობ, ჩემი სიცოცხლე ამ ცენტრში მოსვლით დაიწყო-თქო. მადლობა უფალს, რომ არსებობენ კეთილი ადამიანები.

[1] Mikhail *Tal*-was a Soviet-Latvian *chess* Grandmaster and the eighth World *Chess* Champion (from 1960 to 1961)

Getting Old in Georgia

Inna Kordzakhia, Tbilisi

It is April in Tbilisi now. A little while ago it was winter - cold and frosty. A new life starts in spring, nature wakes up, trees are in full bud and flower snowflakes fall from the trees.

Tbilisi is beautiful at that period of time...

I am happy that this is my city and my country - Georgia. My childhood, youth and now old age is associated with this city. I had a good childhood, was actively involved in many activity groups: basketball, German language, chess. I played with the world champion Mikhail Tal in Tbilisi at the Tbilisi Championship[1]. I recited poems in German, sang, read children's literature....Where has this energy gone? I used to sing in the choir of the institute. I graduated from the Institute of Foreign Languages. I used to live in another district. Now I live in one of the nicest suburbs of Tbilisi - Varketili. It is located on a hill with beautiful scenery - Mtatsminda is seen in the distance that is a haven of prominent ancestors. 'What a treasury we have, lively and rich...' These words have been on my mind and I am proud that this treasury is mine.

I do not know why, but since my childhood I have had many grey days and I am tired - but some bright things have happened: one of them being the Red Cross and its head, Thea Khorava, who has warmed many hearts and brought fun to our lives from the very first day. We have travelled throughout almost all of Georgia. God is high and will reward her for her kindness. We have often had foreign guests and you can't imagine how happy I am if some of them play chess or speak German; in this case, Thea always tries to promote me with them and I try my best. She likes how I recite poems… I call her the Queen of Beauties (from one of the poems), we feel her warmth and love and we also give her our love in return. After all these years I think that my life started when I came to this centre. Thanks God, that kind people do exist!

[1] Mikhail *Tal*-was a Soviet-Latvian *chess* Grandmaster and the eighth World *Chess* Champion (from 1960 to 1961)